რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ასო-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

### გაზეთის ფასი

მთელის წლისა — — 8 მან.
ექვსის თვისა— — — 5 მან.
სამის თვისა — — — 3 „
ერთის თვისა— — — 1 „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## განცხადება

კვირას, 4 თებერვალს, თბილისის კრუჟოკში იქნება

## ბალი

იმ შკოლის სასარგებლოდ, რომელსაც ხსნის „თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის.

შესასვლელი ფასი ქალებისა და კაცებისათვის 2 მანეთი.

ბალი დაიწყობა საღამოს 9 საათზე.

ქალებს შეუძლიანთ გულ-დახურულ კაბებით შევიდნენ.

ვისაც ჰსურს წინათვე აიღოს შესასვლელი ბილეთი, შეუძლიან მიმართოს კნ. გ. გ. ბარათაშვილისას, კნ. ბ. მ. ანდრონიკაშვილსას და აგრეთვე „საზოგადოების“ გამგებელ კომიტეტის წევრთ, ბალის დღეს კი კრუჟოკის შვეიცარს.

(3—1)

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი განუცხადებს თავად-აზნაურთ საზოგადოებას, რომელ თფილისის გუბერნიის კეთილშობილთ კენჭით აღმორჩევა დაიწყობა მომავალ მაისის დამდეგში. (3—3)

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 23 იანვარს. ოფიციალურად გამოცხადებულია პირობა, რომელიც 1878 წელს შეუკრავთ ერთმანეთში გერმანიასა და ავსტრიას, პირველის მხრით ელჩს რეისს და მეორე მხრით გრაფ ანდრაშის. ამ პირობის ძალით გაუქმებულია მეხუთე მუხლი პრაგის პირობისა, რომლის ძალითაც ჩრდილოეთ შლეზვიგი ისევ უნდა დაებრუნებინა პრუსიას დანიისათვის, თუ ამ ქვეყნის ხალხი თანხმობას არ გამოაცხადებდა პრუსიასთან შეერთებისას

პარიჟი, 23 იანვარს. დღეს ოფიციალურად გამოცხადებულია ახალი სამინისტროს შემდეგი სია: ვადინგტონი-უცხო ქვეყანის საქმეთა მინისტერი და სამინისტროს თავსმჯდომარე, მერსერი—შინაგან საქმეთა მინისტრი, ლორუა—სახალხო განათლებისა და ხელოვნების მინისტრი, გრელე—სამხედრო. ჟორეგიბერი (?)—ზღვის, ფრეისინე—საზოგადო მუშაობათა და ლეპერი—ვაჭრობის მინისტრი.ე

## საქართველო

### საჭიროა თადარიგი

არათუ რუსეთი, მთელი ევროპაც შეანძრია და აალელვა იმ ამბავმა, რომ აშტარხნის გუბერნიაში აღმოჩნდა ჭირი (ჟამი). ჩვენი უმაღლესი მმართებლობა ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს, რომ ეს ჭირი იმ ადგილებს არ გადასცილდეს, სადაც პირველად გაჩნდა. იქ გაგზავნილია პეტერბურღიდამ ექიმების კომისია, დაადგინეს კარანტინი და სხვ.

ტელეგრამმამ გვაცნობა, რომ პრუსსიას გარდაუწყვეტია ოთხმოცი ათასი კაცი ჯარი დააყენოს სამზღვარზე, იმ განზრახვით, რომ რუსეთიდამ ხალხი და საქონელი არ გამოუშვას; ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, თვით ოსმალეთიც კი კარანტინებს მმართავენ, რომ რუსეთიდამ მოტანილ საქონელმა ან მოსულ ხალხმა არ გაავრცელონ ჩვენს ქვეყანაში ეს საშინელი ჭირი.

ერთის სიტყვით, ყველა განკარგულებას ახდენს, ყველა თადარიგს იჭერს, ყველა ემზადება, რომ ჭირისაგან დაიცვას თავისი ქვეყანა.

ჩვენ? ჩვენ კი, თუმცა ჩვენი ქვეყანა ყველა ზემო-ჩამოთვლილს ქვეყნებზე უფრო ახლოს არის აშტრახანიდამ, მაგრამ ჩვენ ჯერ ხელიც არ გაგვინძრევია, არც კი გვიფიქრია—თუ ჩვენც გვეჭირვება გაფრთხილება, თადარიგის დაჭერა და მომზადება.

ყოველთვის ასე ვიცით: სანამ უბედურება კარზედ არ მოგვადგება, სანამ იქამდინ არ მივა საქმე, რომ იმის გასწორება და შველა ძნელი შეიქნება, მანამ გულ-ხელ დაკრეფილი ვართ და ჭერს შევჩერებივართ. რომ მოგვადგება უბედურება, მხოლოთ მაშინ ვიწყებთ ფაცა-ფუცს, მხოლოთ მაშინ ვყვირით: „გვიშველეთ! ვინ ხართ კაცი!“ მაგრამ მაშინ გვიან არის. . .

ძალიან გვაკვირვებს, რატომ ჩვენი ექიმების საზოგადოება ხმას არ იღებს; რატომ ქალაქის გამგეობა გაჩუმებულია; რატომ ადმინისტრაცია არავითარ განკარგულებას არ ახდენს და არავითარ ზომას არ ღებულობს?

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში იყო დაბეჭდილი, ჩვენში გავრცელებულია ხმა, რომ ჭირი პეტროვსკაში გამოჩნდაო და ამ ხმისაგან ახლავე, ცოტა არ იყოს, დაფთხობილია ხალხი.

ექიმების საზოგადოებისა, ქალაქის გამგეობისა და ადმინისტრაციის ვალია, რომ ამ გვარს მდგომარეობაში დატრიალდეს, ხელი მოუწყოს ხალხს. საჭიროა, საჩქაროთ საჭიროა გამოცემა დარიგებისა—თუ როგორ უნდა გაუფრთხილდეს ხალხი ამისთანა დროში, რა ნიშნებია ამ ჭირისა, როგორ შეიძლება, თუ კი შეიძლება, იმისაგან მორჩენა და სხვ. და სხვ. ეს ამგვარი დარიგება სახალხოთ უნდა გამოიცეს ყველა ადგილობრივ ენებზე და ყველგან უნდა გაავრცელონ ხალხში.

სხვა ათასი განკარგულება და სახსარია საჭიროა, თუ გვინდა, რომ ეს უბედურება არ გვეწვიოს და არ ამოგვჟლიტოს.

მოუთმენელად, საჩქაროთ მოველით ჩვენ ყველა ამ გვარ განკარგულებას იმ უწყებებისაგან, რომელნიც ზევით დავასახელეთ *).

ს. მ.

*) ეს შენიშვნა დაწერილი იყო, როდესაც „თფილისის მოამბის“ უკანასკნელს ნომერში ჩვენ წავიკითხეთ სასიამოვნო ამბავი, რომლითაც სრულდება ერთი ნაწილი ჩვენი წინადადებისა: ამ გაზეთს გაუგონია, რომ თფილისში არსდება კომისია, რომლის თავსმჯდო-

## დღიური

*** კახეთიდამ, ზემო და ქვემო იმერეთიდამ სხვა-და-სხვა გვარი ავათმყოფობის გავრცელების ამბავი მოგვდის. ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ჩვენში ძალიან ბევრი ხალხი იხოცებაო. ზემო-იმერეთში ბავშვებში მყივანა-ხველა და წითელა გავრცელებულა. ქართლში გავრცელებულია თურმე აგრეთვე წითელა მყივანა ხველა და ქუთეშა, და განსაკუთრებით ღარიბი ხალხი ბევრი იხოცებაო.

ამ სატკივრების გავრცელების მიზეზი, უეჭველია, უნდა იყოს უეცრად ჰაერის შეცვლა, თოვლის მოსვლა და დიდი სიცივეების დაჭერა. ომიანობისაგან დაღალულ-დაქანცულ ხალხს ყოველი ამგვარი მოვლენა მალე და ადვილად მოერევა.

ერთის სიტყვით, ისეთს მდგომარეობაში არის ახლა ჩვენი ქვეყანა, რომ ყველგან ექიმებია საჭირო; მაგრამ, საუბედუროთ, არსად კი არ არიან ისინი სამყოფად.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ სოფ. საგარეჯო და იმის ახლო-მახლო სოფლები ჰქირაობენ თავის ხარჯით ექიმს; ამბობენ, რომ ამ საქმეში მონაწილე სოფლებს გადაუწყვეტიათ, რომ წელიწადში თითო მოსახლემ გადაიხადოს დანიშნული ფული ექიმისათვის და ამათ ექიმმა მუქთათ უნდა უწამლოს; ვინც ამ ამხანაგობაში მონაწილეობას არ იღებს, იმათ კი ექიმი ვიზიტისათვის ფასს გადაახდევინებს.

ჩვენ გვითხრეს, რომ საგარეჯოს ექიმად უფ: ექიმი ხუდადოვი მიდისო, რომელსაც წელიწადში ას-ოცი თუმანი ექნება ჯამაგირიო.

ურიგო არ იქნება, რომ საგარეჯოს მაგალითს სხვა სოფლებმაც წაბაძოს; ეს ძნელი არ იქნება იმ სოფლებისათვის, რომელნიც ახლო არიან ერთმანეთზე. ახლა განსაკუთრებით, როდესაც ჩვენში ამდენი სხვა-და-სხვა ავათმყოფობა ვრცელდება და ყველაზე უარესი ავათმყოფობისაგან — ჭირისაგან — მორიდება გვეჭირება, ვამბობთ, ახლა ყველაზე უფრო საჭიროა, რომ ჩვენვე ვიზრუნოთ ჩვენს ჯანმთელობაზედ.

*** თელავიდამ და სიღნაღიდამ გაზეთს „თფილისის მოამბეში“ იწერებიან, რომ ამ უეცრად მოსულმა თოვლმა და ყინვამ ბევრი ცხვრის ფარა გააფუჭა ჩვენშიო; ალაზანს გაღმა მინდვრებში გარეკილი ცხვარი ასობით და ათასობით დაიხოცა თოვლისა და შიმშილისაგანაო, აგრეთვე შირაქის და მუღანლოს მინდვრებშიო.

*** ერთს ოდესსის გაზეთში იწერებიან, რომ ცეცხლის-გემის „რიონის“ პასაჟირები, რომელნიც, როგორც მოგეხსენებათ, კინაღამ დაიღუპნენ ამას წინათ თავის გემიანათ შავს ზღვაში, ჩივილს აპირებენ თურმე სასამართლოში ამ ცეცხლის-გემის პატრონზე, რომ ამისთანა ცუდს პარახოდში ჩაგვსვესო, და კინაღამ სულყველა არ დავიღუპენითო.

*** გაზეთს "კავკაზში" თელავიდამ იწერებიან, რომ ეს სამი კვირა არის, რაც აქ არშინ-ნახევარი თოვლი სძევს და ისეთი სუსხიანი სიცივეები დადგაო, რომ ოთხმოც-და-ათი წლის მოხუცებულებს არ ახსოვთო, რომ კახეთში როდესმე ამისთანა ზამთარი ყოფილიყოს. ამ სიცივეებისაგან განსაკუთრებით სოფლის ხალხი არის შეწუხებულიო, რადგან ამათი სადგომები ამისთანა სიცივისათვის არ არის მოთავსებულიო.

---

მარედ იქნება დოქტორი მინკევიჩი და რომლის მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ჭირის გაჩენისა და გავრცელებისაგან დაიცვას ჩვენი ქვეყანა.

ეს, რასაკვირველია, კარგია; მაგრამ მარტო ეს არ კმარა. . .

---

## ჩვენს წიგნთა-გამომცემლობაზე

უკანასკნელი ორი წელიწადი უნდა იყვეს მოხსენებული საქართველოს მატიანეში, როგორათაც წელნი ქართველის ხალხის გამოფხიზლებისა განათლებაზე ყურის მიქცევისა.

აბა, რა არ მოხდა ამ ორ წელში? გაიმართა შკოლები, გაიმართა ბანკები, დეპოები, ლიტერატურასაც მოემატა მშრომელები (დაიბადა „ივერია“) და წიგნთ გამომცემლობა გაჩაღდა. მე აქ არ მინდა ლაპარაკი შკოლებზე, ბანკებზე, დეპოებზე და ლიტერატურაზე. მე მინდა ვთქვა რამე უკანასკნელს მუხლზე ე. ი. წიგნთ-გამომცემლობაზე.

მართლაცა და ეს ორი უკანასკნელი წელიწადი მეტადრე იმით არის შესანიშნავი, რომ ხალხმა კითხვა დაიწყო. ამის დამამტკიცებელი საბუთი არის — წიგნთ-გამომცემლობის გაჩაღება.

ჰკვირობენ სუყველანი, რომ ასე უხვი გამოცემა, როგორიც შარშან და შარშანწინ იყოვო, არას დროს ყოფილაო. ესევე წარმოსთქვეს სულყველა თფილისის გაზეთებმა. მართალიც არის მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ამ ორს წელიწადში ჩვენში შედარებით ძალიან ბევრი წიგნები გამოიცა, რომელიც წინად არას დროს არ გამოცემულა. ეს მოასწავებს ჩენის ხალხის გამოღვიძებას იმ ძილიდგან, რომელშიაც დიდიხანია განისვენებდა. ეს გვიმტკიცებს, რომ ეხლა დროა ქართველობა ცხოვრებას შეუდგეს და დაადგეს იმ გზას, რომელსაც ადგიან სხვა წინ წასული ხალხები. მართლაც, საუკუნოდ ხომ არა ჰქონდა ქართველობას ძილი გადაწყვეტილი; არა, სულაც არა; იმას ეძინა მარტო დროებით...

მიზეზი წიგნთ-გამომცემლობის გახშირებისა ყველასთვის თვალსაჩინოა; ეს იყო ომი, ის ომი, რომელმაც რამდენიც ვნება მოგვიტანა, ორი იმოტელა სარგებლობაც თან მოატანა.

აი როგორ მოხდა ესა: ომი რომ გაჩნდა, ხალხმა ყური დაუგდო ომის საქმეების მსვლელობას, ის ცდილობდა ყოველის ფრით საიდუმლე შეეტყო ომის ამბები. ამ მოთხოვნილების დასამტკიცებლად „დროებამ“ დაიწყო გამოსვლა ყოველს დღეს. ქალაქელი ხალხი დიდის გულმოდგინებით კითხულობდა ამ გაზეთს. ბიეიშვილმა და სხვა ამ გვარებმაც დაიწყეს ომის გმირების ქება და შესხმა; ამასაც რასაკვირველია, ხალხი ძალიან მისდევდა და დიდის ალტაცებით ყიდულობდა თავის ძმების მილიციონერების ქებას. სულ ყველა წიგნები, რასაც კი ომასა ერქვა, უცებ იყიდებოდა და ხალხში ინთქმოდა. ეხლა იმ ლექსსა რომელსაც აქ ბიეიშვილი მღეროდა, გაიგონებთ ლიახვის პირზედა („არტაჰანი“ ავილოთ და სხვ.)

ამ ნაირად შევიდა ხალხი წიგნის კითხვაში. ამ დროს გამოვიდნენ იმისთანებიც, რომელთაც ომის ამბების მაგივრად სხვა წიგნები გამოსცეს. ხალხი მწყურვალი კითხვისა აღარ გამოეკიდა იმის გაშინჯვას — ომისა იყო, თუ არა ის წიგნი, რომელსაც ყიდულობდა და რა წიგნიც კი გამოვიდოდა, სუყველას ყიდულობდა და კითხულობდა. აი აქედგან წარმოსდგა, რომ ამ ორს წლებში წიგნის გამომცემლობა ძალიან გავრცელდა და მას გასავალიც თან მისდევდა.

გათავდა ომი. ახლაც ხალხი გამოუდგება კითხვას, თუ არა? აი ეს კითხვა უძევთ წინ იმათ, ვინცა სცემენ წიგნებსა. მე ამათი კი რა ვიცი და ჩემი აზრი კი ეს არის: წიგნის კითხვას გამოუდგება ხალხი როგორ-არა, მაგრამ იმ პირობით, რომ წიგნი აკმაყოფილებდეს იმას, იმისთანა წიგნებს გამოუდგება ის, რომელშიაც ნახავს თავის მოთხოვნილების და გულისთქმის პასუხს. შარშან რომ ხალხი წიგნებს კითხულობდა, ეგ იმიტომ რომ ისინი აკმაყოფილებდნენ იმის მოთხოვნილებას და პასუხს აძლევდნენ. ეხლა გავიდა ომის დრო და თანაც გაჰყვა ხალხის მოთხოვნილება ომის ამბების გაგებისა. ეხლა ხალხს სულ სხვა მოთხოვნილება აქვს.

იმას უნდა გაიგოს ეხლა შინაური ამბები.

იმას აქვს იმის მოთხოვნილება რომ გაიგოს — როგორ უნდა იცხოვროს, რომ მშიერი არ მოკვდეს; იმას უნდა გაიგოს — რად არის ასე ღარიბი; როგორ უშველოს თავის თავს, რომ ცოტაც არის კეთილდღეობაში შევიდეს; რა საშუალება უნდა იხმაროს, რომ მოუაროს თავის თავს და თავის ერთგულს საქონელს ჭირისა და სენისაგან დასაცველად; როგორ უნდა მოახერხოს, რომ გამოვიდეს იმ ვალისა და ვახჩისაგან, რომელშიაც დიდიხანია ჩავარდნილია, და რამდენი კიდევა მისთანა კითხვები ძევს ხალხის გულში და უნდა გაიგოს როგორმე.

აი ესენი არიან ეხლანდელი მოთხოვნილებანი ხალხისა, რომელიც უნდა მიიღოს მხედველობაში ლიტერატურამაც და გამომცემლობამაც. აი ხალხი მაშინ შეიყვარებს კითხვას, როდესაც ამისთანა აზრებით სავსე წიგნს შეხვდება. კაცმა ის უნდა წეროს და გამოსცეს, რაც სა-

ზოგადოების მოთხოვნილებას აძლევს პასუხს და აკმაყოფილებს.

ამ ნაირად, ვისაც წიგნის გამოცემა ჰსურს, ამისთანა უნდა გამოსცეს, თორემ მკითხველებს ხალხში ვერ იპოვის.

ახლა იმაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა—თუ ვინ არის ჩვენში წიგნთ-გამომცემელი.

ჩემის აზრით გამომცემელი თვითონ გონებითაც გახსნილი და ზნეობითაც პატიოსანი და მაღლა-მდგომი კაცი უნდა იყვეს, ის უნდა კარგად იცნობდეს იმ წიგნს, რომელსაც თითონა სცემს, უნდა ყოველთვის ცდილობდეს გამოსცეს კარგი წიგნი, ღირსი დაბეჭდისა და წაკითხვისა. წინააღმდეგს შემთხვევაში ბევრჯერ თითონაც ტყუილად დახარჯავს ფულსა და მკითხველი კი ვნების მეტს ვერას გამოიტანს.

ეს ესეა; მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენში ისეთები გამომცემლობენ, რომელთაც ძალიან არ შეუძლიანთ გაარჩიონ კარგი და ცუდი.

ამას გარდა, ჩემის აზრით, ამისთანა დაუდევრობა არ შეიძლება. რაც უნდა იყვეს, ერთმა კაცმა რაქნას? რაც უნდა ცოდნა ჰქონდეს ადამიანსა, თუ ჯიბეშიაც არა უჭყავის-რა, ვერაფერს გააკეთებს. აი ამისთანა გახლავან ჩვენის სახალხო წიგნების გამომცემელნი. ამათ კარგის წიგნების გამოუცემლობაში ვერ გავამტყუნებთ, რადგან რაც ჩვენ კაი წიგნები გვაქვს, იმათ დიდი თავნი უნდათ გამოსაცემლად და ეს კი აკლიათ სწორეთ ჩვენს გამომცემლებს.

რადგან ჩვენში წიგნთ-გამომცემლად მდიდრები არ არიან, ჩემის აზრით, გამომცემლობის გასაუმჯობესებლად უნდა შესდგეს ცალკე წიგნთ-გამომცემელი საზოგადოება რამდენიმე წევრისაგან, რომელთაც უნდა გამოიღონ დანიშნული ხვედრი ფული და ამით გამოსცენ წიგნები. იმედია, რომ ამ გვარი საზოგადოების წევრები მოიპოვებიან და არ დაიშურებენ რამდენსამე მანეთს წელიწადში. ამ საზოგადოებამ რო ერთს წელს თავისის ფულით გამოსცეს, მომავალს წლებში იმ წიგნების შემოსავლით დაიბეჭდება. ვისაც აქვს რამდენიმე სიყვარული ჩვენის მწერლობისადმი და ხალხისადმი არ დაზარდება ამ საზოგადოების წევრობა. რასაკვირველია საზოგადოებამ უნდა ყური მიაქციოს კარგის წიგნების გამოცემას და იაფის ფასის დარქმევას. აი მაშინ წავა ჩვენი წიგნთ-გამომცემლობა კარგად, თორემ ეხლანდელი რა არის!!.

დ. ნ—შვილი

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ახალ-სენაკი**, 15 იანვარს. ზოგიერთს ადამიანს ცუდი ზნე და ჩვეულება კი სჭირს, მედა ჩემმა სულმა! ზედ რომ გადააკვდე და გადაადნე ღორის ქონივით ამაგს მაინც არ დაგისწავლის. თუ რამდენათ უპურ-მარილოა ხალხი, ამას გვიმტკიცებს შემდგომი მაგალითი:

ახალ წლის წინა ღამეს იმ დროს, როდესაც ძველი წელიწადი წასასვლელად ემზადებოდა და ხალხი-კოჭებში შემოგვცქეროდა; ყველამ, ბრუდმა და მართალმა, მადლიერმა და უმადურმა საცოდავ ძველ წელიწადს თოფების ცემით გვერდები გაუგლიჯეს: „ჰიუდა გაგვეცალე შე ჩვენო დამლუპველო! შენში ჩვენ ვერ გავიხარეთ, გაგვშორდი! აგერ ახალი წელი ახალის იმედებით კარს გვადგია, ის გვირჩევნია შენსას, გასწი, დაიკარგეო!“ ეუბნებოდა ყოველი კაცი.

მაგრამ ღმერთი, რჯული, ხატი, ჯვარი, რომ ძველი წელიწადი ბევრი სულიერისათვის კარგი ძიძა იყო, კარგათ უვლიდა და ასაზრდოებდა მათ. აი ამნაირმა კაცებმაც კი უპატიურად გაისტუმრეს ძველი წელიწადი. ამის შემხედვარე ახალმა წელმა, რომელიც, როგორც ზევით მოგახსენეთ, კოჭებში შემოგვცქეროდა-მეთქი, იფიქრა: „ამათთან არც მე გამივა სიკეთე, მეც ასე ჩამკოლავენ, როცა სიძველეში შევალო“ და მოიმედე ხალხი უიმედოთ დასტოვა.

შარშანდელი წლის მარიამობის თვიდამ დაწყებული, ვიდრე აქამომდე ახალ-სენაკიდამ ნოქალაქევამდის გზის უვარგისობამ ტყავი გაგვაძრო; არ იქმნა საშველი, ვერ გაკეთდა ეს გზა სადაც კი ბოგირები შეგხვდებათ, ყოველგან ჩაფუშვილია. ათი ურემი რომ მიდიოდეს დატვირთული, ოცი ან ოცდა-ათი კაცი უნდა მისდევდეს, რომ ტვირთი მათ გადაიტანონ, რადგანაც ურემს ბოგირზე გასვლა არშეუძლია.

ამას წინათ მე მომიხდა მოგზაურობა ახალ-სენაკიდამ ძველ-სენაკისაკენ. გზაზე ზოგან გაკეთებული შემხვდა ბოგირები. მე ვიფიქრე ყველგან ასე გაკეთებული იქმნება-მეთქი და მივდივარ არხეინად. ბნელი ღამეა; მიუახლოვდი თუ არა ძველ-სენაკს, სადაც ბოგირზე უნდა გამეარა, შედგა ცხენი დაიწყო ფრუტუნი და ფეხების ფხაკა-ფხუკი. მე ყოვლის მოურიდებლად უშიშვლე ცხენს მათრახი; მაგრა ცხენმა, მის მაგიერ რომ წინ წავიდეს, უკან დაიწია. ბოლოს ვიფიქრე იქნება ბოგირი არ არის გაკეთებული-მეთქი, და ჩამოვხტი. მართლაც ისე იყო: ბოგირზე ერთი ფიცარიც არ იდვა. მადლობა ღმერთს, რომ ჭკვიან ცხენზე ვიჯექ, თორემ შენი მტერი, როგორც მე ის დამამტვრევდა. ვისურვებ რომ ახალი მაზრის უფროსი უფ. ბებურიშვილი ყოფილიყოს ბეჯითი და შემამსუბუქებელი თავის მაზრის ხალხისათვის ამ შოსის ნაკლულევანებისაგან.

ძველ-სენაკელი

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

პარიჟის გაზეთებში მოყვანილია მაკ-მაჰონის ეპისტოლე, რომელიც იმას გაუგზავნია ნაციონალურ კრების და სენატის თავსმჯდომარებისათვის რომლითაც ის აცხადებს პრეზიდენტობის თავის დანებებას:

„რადგან ჩემსა და სამინისტროს შუა თანხმობა არ არის და ახალი სამინისტრო ვერ შევადგინე, რადგან მე [illegible] მსურს ქვეყნის მავნებელი ზომები ვიხმარო და ვავნო სამხედრო დისციპლინას,—ამის გამო მე უბრუნებ უკანვე პალატებს (ნაციონალურ კრებას და სენატს) იმ უფლებას, რომელიც იმათ მომანდეს.“

ამ ეპისტოლეს წაკითხვის შემდეგ, ნაციონალურ კრების თავსმჯდომარემ გრევიმ გამოუცხადა კრებას, რომ კონგრესსი (ნაციონ. კრება და სენატი) ნაშუადღევის 4½ საათზე შეიკრიბება რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის ამოსარჩევათაო.

ამავე დროს ნაციონალურ კრების მარცხენა მხრის (რესპუბლიკის მომხრე) დეპუტატებს ჰქონიათ ცალკე შეყრილობა, რომელშიაც პირველად გამბეტტას დაუსახელებია გრევის კანდიდატობა პრეზიდენტის თანამდებობაზედ. კრებას ერთ-ხმად და ალტაცებით მიუღია ეს კანდიდატურა, რადგან გამბეტტას დასახელებამდინაც ყველას ის ჰყავდა სახეში.

## ინგლისი და ავღანი

ლონდონიდამ იწერებიან, აქ მოვიდა ამბავიო, რომ ავღანის ემირი შირ-ალი ისევ უკან აპირებს კაბულში დაბრუნებასაო იმ განზრახვით, რომ, სანამ ინგლისის ჯარებს არ დაუჭერიათ ეს იმისი სატახტო ქალაქი, რა პირობითაც იქნება მორიგება მოახდინოს ინგლისთანაო.

მეორე მხრით რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ამავე საგანზე ტაშკენტიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ შირ-ალი პეტერბურღში აღარ მიდისო, აქ, ტაშკენტში აპირებს დროებით დარჩენასაო.

## გერმანია

ბერლინის გაზეთები გვაცნობებენ, რომ იქაურს მთავრობას გარდაუწყვეტიათ ექიმის გამოგზავნა ასტრახანის გუბერნიაში იმ მიზნით, რომ გამოიკვლიონ ჭირის ავათმყოფობა რაში მდგომარეობს, ან როგორ ვრცელდება ის და რა საშუალებით შეიძლება იმის გავრცელების შეჩერება.

# განცხადებანი

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით უცხადებს საყოველთაოდ **ტრაქტირეებსა, პასტაიალი დვორის მეპატრონეებსა** და **ხარშოვნიკებს**, რომ **საშუალო აქციზი** იმათ უნდა შემოიტანონ უპრავის კასსაში ორს ვადაში: ერთი ნახევარი მომავალი თებერვლისთვის პირველამდინ და მეორე ნახევარიც ამა წლის 1 ივლისამდინ. (3—3)

უფ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველნაირ ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარეშე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

(5—5)

---

ლექსები

# „სიყვარული“

შედგენილი ანტ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება ტფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, გრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, გ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და კოსტავას დუქანში.

ფასი ორი შაური. ვინც ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

---

# გასყიდვა

ფას-მოუკლებელად

რადგან წვრილად ვაჭარმა მოვსპეთ და ერთად, ნარდათ ვაჭრობა დავიწყეთ, ამის გამო დანიშნულია გასყიდვა იაფ ფასად მანეთზე 25 კაპეიკის დაკლებით სხვა და სხვა საქონლისა: კრეპი, არდაგანი, მატლასე, რეპსი, ფაი, ყარსი, კრეასე, კაშმირი შავი—75 კაპეიკიდამ 2 მან. 30 კაპ. შავი ალპაგა—35-75 კაპეიკამდინ, მაუდის შალები—3 მან. და 25 კაპ. 7 მან. 37 კაპეიკამდინ, ხავერდის ხალიჩები, პერანგები ტილოსი და სხვ. და სხვ.

თამამშოვის ქარვასლაში, ზემო ეტაჟაში, გასტინიცის, „კავკაზის“ პირ-და-პირ, №№ 10 და 11.

მაღაზია მალაკოვისა

---

დაიბეჭდა და ისყიდება

საქართველოს

# კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლაიძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

ტფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

---

დაიბეჭდა და ისყიდება ა. ცუცაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, მული და მაშენიკები“—ტ ფ ი ლ ი ს შ ი: გრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ს: გიორგი ბარათოვთან, გ ო რ შ ი: ზაქარია ლონდაროვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ შ ი: თ. ვანო მაჩაბლოვთან, ს ა ქ ა შ ე თ ს: თ. ნიკო ღიასამესწრისნ მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქ უ თ ა ი ს ს: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, ს ა მ ტ რ ე დ ი ა ს: იორდანე სიხარულიძესთან, ფ ო თ შ ი, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე ცუცაევის მეორე კომედია.—„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

---

ქუთაისში

# კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) იგივე, უკეთეს ქაღალდზე-დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის (Практическій начальный курсъ рус. языка для грузинъ)—შედგენილი გ. ქ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) დედა ენა—ი. გოგებაშვილისაგან, 50 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი. ფასი — — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილი—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) ყარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალი მული და მაშენიკები—კომ. ცუცაევისა— — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — 25—

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეების და სხვ. და სხვ.

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვეშ.

---

| რკ. გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

ფოსტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.— პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლოტ წონის . . . . . . . . . | 4 |
| დაზღვეულის (ხმა მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 52 იანვარს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 70 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 60 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 90 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 70 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| — ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 40 |
| — ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ჩაი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 80 |

### ტფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და გარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიურჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიურჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 25 Генваря 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.